

## საკრებულოს წევრის ზურაბ მინდორაშვილის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

### ანგარიში

მოგესალმებით დამსწრე საზოგადოება და წარმოგიდგენთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებს გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში დავესწარი საკრებულოს ბიუროს და სესიის ყველა სხდომებს, ვთავმჯდომარეობდი კომისიის 6 სხდომას, სადაც გატანილი იყო 12 საკითხი. აგრეთვე მონაწილეობას ვღებულობდი საკრებულოს ბიუროს სხდომების მუშაობაში, სადაც აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციებს.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სოფელ ბოდბეში განხორციელდა შემდეგი პროექტები. კერძოდ: სოფელში სასმელი წყლის მოსახლეობისადმი 24 საათიანი მიწოდების ცენტრალური წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების დაწყება. ზურაბანთ უბანში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ზემო ბოდბეში რამოდენიმე დღეში დასრულდება წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია. რის შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას მოუგვარდა წყლის პრობლემა და უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს. დასრულდა სოფლის ქუჩების სახელების მინიჭება და დამისამართება. დასრულდება სოფლის ქუჩების განათება. მიმდინარეობს ქვემო ბოდბიდან ზემო ბიდბის გზის სრული რეაბილიტაცია აღდგენა. ოლეს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა.

ბოდბის ამომრჩევლებმა სხვადასხვა შეხვედრების დროს, მოითხოვეს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა, ადრეულ წლებში არსებული სარწყავი სისტემების შესამღებლობის ფარლებში, აღდგენა - რეაბილიტაცია. სტადიონის მიმდებარედ გასახდელების მოწყობა, სკამების დამონტაჟება და პატარა სკვერის მოწყობა, კულტურის სახლის ან ახალგაზრდული ცენტრის აშენება სოფლის ახალგაზრდობის კეთილდღეობის და განვითარებისათვის. ამ საკითხებზე მიმდინარეობს მერიასთან მოლაპარაკება დარწმუნებული ვარ დადებითად გადაწყდება არსებული პრობლემება.

საკრებულოს წევრი:

ზურაბ მინდორაშვილი